ფარული მეთვალყურეობა საქართველოში

2018-2020 წლების პრაქტიკა

კვლევის ხელმძღვანელი:

ქეთევან კუკავა, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელძღვანელი, IDFI

კვლევის ავტორები:

სალომე ჩხაიძე, იურისტი/მკვლევარი, IDFI
ნატა ახალაძე, იურისტი, IDFI

მოცემული მასალის/გამოცემის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

2021

სარჩევი

1. შესავალი 4
2. ძირითადი მიგნებები 4
3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა 6
3.1. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა 11
4. სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში წარმოდგენილი მოსამართლის ბრძანებების სტატისტიკა 20
5. ფარული ჩანაწერების გავრცელებისა და უკანონო მოსმენის ფაქტები 21
6. შეჯამება 24

1. შესავალი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ: ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია.[1]

წინამდებარე კვლევა მიმოიხილავს 2018-2020 წლებში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით შუამდგომლობების წარდგენის, განხილვისა და დაკმაყოფილების, ასევე გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს. კვლევაში ასევე მოცემულია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში წარდგენილი ელექტრონული თვალთვალის შესახებ მოსამართლის ბრძანებების შესახებ სტატისტიკა.

გარდა ამისა, კვლევაში ასახულია ბოლო პერიოდში ფარული ჩანაწერების გავრცელებისა და უკანონო მოსმენის ფაქტები, რაც ცხადყოფს, რომ ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით სერიოზული გამოწვევები არსებობს.

კვლევაში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ და ამავე სასამართლოს მიერ მოწოდებულ ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკას, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სახალხო დამცველის ანგარიშებს.

2. ძირითადი მიგნებები

- 2020 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებმა სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით ჯამში **997** შუამდგომლობა განიხილეს. ამ შუამდგომლობების **62%** თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა.
- სააბონენტო ნომრებზე განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის რაოდენობა 2018 წლიდან თანდათანობით იზრდება და 2021 წლის პირველივე კვარტალში სოლიდურ ნიშნულს, წინა სრული წლის თითქმის ნახევარს - **2403**-ს აღწევს.
- 2018 წლიდან დღემდე სტაბილურად იზრდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გადაუდებელი აუცილებლობისას სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ პროკურატურიდან შესული შუამდგომლობების რაოდენობა. 2018 წელს ეს მაჩვენებელი ჯამში **36** იყო, 2019 წელს - **81**, 2020 წელს - **107**, ხოლო 2021 წლის პირველივე კვარტალში შუამდგომლობების რიცხვი უკვე **32**-ს აღწევს.
- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის რაოდენობის პარალელურად,

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143[10].

ბოლო წლებში გაიზარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შეჩერების მექანიზმის გამოყენების სიხშირეც. 2020 წელს ამ მექანიზმის გამოყენების ნიშნულმა **116-**ს მიაღწია (115 მათგანი გამოყენებული იყო სასამართლოს განჩინებაზე, ხოლო 1 - პროკურორის დადგენილებაზე).

- 2020 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და მოსმენასთან დაკავშირებული შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილების ყველაზე მაღალი – **92%**-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 2018 წელს შუამდგომლობის დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი **88%**, ხოლო 2019 წელს **84%** იყო.

- 2020 წელს საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული **3442** შუამდგომლობა შევიდა. გასული წლების მსგავსად, შუამდგომლობათა ყველაზე დიდმა რაოდენობამ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოიყარა თავი.

- წინა წელთან შედარებით, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ შესულმა შუამდგომლობებმა მნიშვნელოვნად, **51%-ით** დაიკლო. ასევე აღსანიშნავია ამ შუამდგომლობათა დაკმაყოფილების კლების ტენდენცია: 2018 წელს შუამდგომლობათა **95.7%**, 2019 წელს **94.6%,** ხოლო 2020 წელს **94.2%** დაკმაყოფილდა.

- 2018 წლის შემდგომ იზრდება განხილულ შუამდგომლობათა შორის გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობების პროცენტული წილი. 2018 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული შუამდგომლობების მხოლოდ **1%**-ს შეადგენდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობა, 2019 წელს პროცენტული წილი **4%**-მდე, ხოლო 2020 წელს **6%** -მდე გაიზარდა.

- 2018 წელს ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობათა **92.6%** დაკმაყოფილდა, 2019 წელს - **84.7%,** ხოლო 2020 წელს ყველაზე მეტი - **98.5%.**

- სერიოზულ გამოწვევად რჩება ფარული ჩანაწერების გავრცელებისა და უკანონო მოსმენის ფაქტები და დამნაშავეთა დაუსჯელობა, რაც ცხადყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მყარი გარანტიების არარსებობას.

3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა



წინა წელთან შედარებით, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ შესულმა შუამდგომლობებმა მნიშვნელოვნად, 51%-ით დაიკლო. ასევე აღსანიშნავია ამ შუამდგომლობათა დაკმაყოფილების კლების ტენდენცია: 2018 წელს შუამდგომლობათა 95.7%, 2019 წელს - 94.6%, ხოლო 2020 წელს - 94.2% დაკმაყოფილდა.



შენიშვნა: დიაგრამაზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად გამოსახულია სსსკ-ს 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება (კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა), ვინაიდან არსებული კანონმდებლობით მასზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სტანდარტები ვრცელდება.

2018, 2019 და 2020 წლებში სასამართლოებმა ყველაზე მეტი შუამდგომლობა კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვასთან დაკავშირებით განიხილეს. მომდევნო საგამოძიებო მოქმედება, რომელთან დაკავშირებითაც პირველი ინსტანციის სასამართლოებმა ყველაზე მეტი შუამდგომლობა განიხილეს, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერაა. ყველაზე ნაკლები შუამდგომლობა კავშირგაბმულობის არხიდან ან კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნას და ფიქსაციას უკავშირდებოდა. მოცემულ წლებში არც ერთი შუამდგომლობა არ განხილულა გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრასთან, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლთან და ტექნიკური საშუალებებით ელექტრონული თვალყურის დევნებასთან დაკავშირებით.



2020 წელს საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული 3442 შუამდგომლობა შევიდა. გასული წლების მსგავსად, შუამდგომლობათა ყველაზე დიდმა რაოდენობამ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოიყარა თავი. ყველაზე მეტი შუამდგომლობა შემდეგ ქალაქებში განიხილეს: თბილისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, თელავი და ქუთაისი. ამ ქალაქებში განხილულ შუამდგომლობათა პროცენტული განაწილება შემდეგნაირია: 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში შუამდგომლობათა 39.2%, რუსთავში – 14%, გორსა და ზუგდიდში – 10-10%, თელავში - 4.4%, ხოლო ქუთაისში - 4.2 % შევიდა. რაც შეეხება შუამდგომლობათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს, აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გორს აქვს. კერძოდ, გორში შესული შუამდგომლობებიდან 99% დაკმაყოფილდა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ განხილული შუამდგომლობები საქართველოს რაიონული/საქალაქო სასამართლოებისა და წლების მიხედვით



როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, უკანასკნელ სამ წელში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით ყველაზე მეტი შუამდგომლობა შემდეგ ქალაქებში განიხილეს: თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, რუსთავი, ბათუმი, თელავი, ახალციხე და მცხეთა. ჯამში ყველაზე მეტი **10 415** შუამდგომლობა განხილულ იქნა თბილისში, ხოლო ყველაზე ნაკლები 1 შუამდგომლობა – მარტვილში (ეს უკანასკნელი დიაგრამაზე ასახულია ***სხვა*** ქალაქების სვეტში).

თითოეული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი წლების მიხედვით





(შენიშვნა: ორივე დიაგრამაზე, Y ღერძზე, მაქსიმალურ სიდიდედ აღებულია 1200)



(შენიშვნა: Y ღერძზე მაქსიმალურ სიდიდედ აღებულია 1200)





(შენიშვნა: Y ღერძზე მაქსიმალურ სიდიდედ აღებულია 8000) *(შენიშვნა: Y ღერძზე მაქსიმალურ სიდიდედ აღებულია 100)*

როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, დაკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნასა და ფიქსაციასთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს აქვს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განხილული შუამდგომლობების რიცხვი საკმაოდ დაბალია. 2020 წელს მხოლოდ 2 შუამდგომლობა იქნა განხილული. სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ შუამდგომლობების განხილვის რაოდენობა მართალია წლიდან წლამდე შემცირდა, თუმცა უკანასკნელ წელს გაიზარდა მისი დაკმაყოფილების მაჩვენებელი. შეიმჩნევა ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადის გაგრძელებასთან, ფარულ ვიდეოჩაწერასა და ფოტოგადაღებასთან დაკავშირებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მზარდი ტენდენცია. რაც შეეხება კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვასთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს, 2018 წლიდან შეიმჩნევა შუამდგომლობათა დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებლის კლება.

გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობა





2020 წელს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და კანონიერად ცნობის შესახებ განხილული შუამდგომლობები



როგორც მოცემულ დიაგრამებზეა გამოსახული, 2018 წლის შემდგომ იზრდება განხილულ შუამდგომლობათა შორის გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობების პროცენტული წილი. 2018 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული შუამდგომლობების მხოლოდ 1%-ს შეადგენდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობა, 2019 წელს პროცენტული წილი 4%-მდე, ხოლო 2020 წელს 6%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობათა დაკმაყოფილების პროცენტულ მაჩვენებელს, 2018 წელს შუამდგომლობათა 92.6%, 2019 წელს 84.7%, ხოლო 2020 წელს ყველაზე მეტი - 98.5% დაკმაყოფილდა.[2]

3.1. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებული შუამდგომლობების უდიდესი ნაწილი თბილისში იქნა განხილული. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს წინა წელთან შედარებით თბილისში განხილულ შუამდგომლობათა რაოდენობა შემცირდა. დანარჩენი ხუთი ქალაქი, სადაც ბოლო სამ წელში ყველაზე მეტი შუამდგომლობა განიხილეს, არის: ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, ბათუმი და გორი (დეტალური მონაცემები იხ. ქვემოთ ცხრილში). აღსანიშნავია, რომ 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებული შუამდგომლობების 62% განიხილა. ზემოხსენებული ექვსი ქალაქიდან, წინა წელთან შედარებით, განხილულ შუამდგომლობათა რაოდენობა თბილისში, რუსთავსა და ბათუმში შემცირდა, ქუთაისსა და გორში მცირედით, ხოლო ზუგდიდში თითქმის 2.4-ჯერ გაიზარდა.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 17 მაისის N პ-320-21 წერილის დანართის მიხედვით, 2018 წელს დაკმაყოფილდა 136-დან 126, 2019 წელს 307-დან 260, ხოლო 2020 წელს 202-დან 199 შუამდგომლობა.

ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები 2018-2020

ქალაქი	2018	2019	2020	ჯამი
თბილისი	658	669	614	**1941**
ქუთაისი	92	59	60	**211**
რუსთავი	65	78	59	**202**
ზუგდიდი	41	22	52	**115**
ბათუმი	28	46	30	**104**
გორი	24	25	27	**76**
ბოლნისი	26	24	17	**67**
თელავი	19	24	18	**61**
ახალციხე	33	14	16	**63**
მცხეთა	21	15	22	**58**
ოზურგეთი	11	7	13	**31**
გურჯაანი	8	14	7	**29**
სამტრედია	1	7	15	**23**
სიღნაღი	5	0	11	**16**
ახალქალაქი	2	12	1	**15**
თეთრიწყარო	7	4	4	**15**
მესტია	0	2	9	**11**
სენაკი	5	1	4	**10**
ზესტაფონი	1	3	5	**9**
ხაშური	4	3	1	**8**
წალენჯიხა	2	5	1	**8**
ფოთი	2	2	3	**7**
საჩხერე	0	0	5	**5**

ხელვაჩაური	3	1	0	**4**





სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის რაოდენობის პარალელურად, ბოლო წლებში გაიზარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შეჩერების მექანიზმის გამოყენების სიხშირეც. 2020 წელს ამ მექანიზმის

გამოყენების ნიშნულმა 116-ს მიაღწია (115 მათგანი გამოყენებული იყო სასამართლოს განჩინებაზე, ხოლო 1 პროკურორის დადგენილებაზე).[3] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშის თანახმად, მიმდინარე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის შეჩერების საფუძველი უმეტესწილად იყო სასამართლოს განჩინების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარმოუდგენლობა ან პროკურორის დადგენილებაში ბუნდოვანება-უზუსტობის არსებობა.[4]

შუამდგომლობები სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	2018	2019	2020	ჯამი
მუხლი 223[1] ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა	184	118	113	415
მუხლი 180. თაღლითობა	94	141	94	329
მუხლი 108. განზრახ მკვლელობა	58	68	92	218
მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	86	66	65	217
მუხლი 338. ქრთამის აღება	76	56	39	171
მუხლი 181 გამოძალვა	83	37	43	163
მუხლი 210. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება	51	48	50	149
მუხლი 177. ქურდობა	47	45	41	133
მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	20	35	71	126
მუხლი 182. მითვისება ან გაფლანგვა	44	42	16	102
მუხლი 179. ყაჩაღობა	44	17	20	81
მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	22	24	28	74
მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)	13	21	28	62
მუხლი 143 თავისუფლების უკანონო აღკვეთა	15	14	22	51
მუხლი 218. გადასახადისათვის თავის არიდება	4	22	12	38
მუხლი 236. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	17	19	0	36

[3] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 100, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wgJPSv წვდომის თარიღი: 19.05.2021.

[4] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 100, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wgJPSv წვდომის თარიღი: 19.05.2021.

მუხლი 212. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება	11	11	14	36
მუხლი 339. ქრთამის მიცემა	10	17	8	35
მუხლი 221. კომერციული მოსყიდვა	11	15	4	30
მუხლი 223. უკანონო ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა, ასეთ ფორმირებაში გაწევრება, მონაწილეობა ან/და უკანონო ფორმირების სასარგებლოდ სხვა საქმიანობის განხორციელება	12	12	1	25
მუხლი 315. შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად	0	19	5	24
მუხლი 187. ნივთის დაზიანება ან განადგურება	14	4	5	23
მუხლი 372. ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე	14	6	3	23
მუხლი 323. ტერორისტული აქტი	3	8	9	20
მუხლი 200. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა	8	5	7	20
მუხლი 143[2] არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	3	7	9	19
მუხლი 141. გარყვნილი ქმედება	6	4	8	18
მუხლი 362. ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება	11	5	2	18
მუხლი 254. პროსტიტუციის ხელშეწყობა	7	11	o	18
მუხლი 137. გაუპატიურება	2	2	13	17
მუხლი 284. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა	3	3	9	15
მუხლი 178. ძარცვა	7	5	3	15
მუხლი 239. ხულიგნობა	0	4	9	13
მუხლი 214. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა	3	7	3	13
მუხლი 262. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების	4	8	1	13

საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა				
მუხლი 144. მძევლად ხელში ჩაგდება	**4**	**9**	**0**	**13**

შენიშვნა: *ცხრილში მოცემული არ არის ყველა ის დანაშაული, რომელთა მიმართებითაც განხილულ იქნა ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებული შუამდგომლობები.*

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე განხილული შუამდგომლობების უმეტესი ნაწილი მიემართება სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ დანაშაულებს: ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა; თაღლითობა; განზრახ მკვლელობა; ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; ქრთამის აღება, გამოძალვა, ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით ამ დანაშაულებზე ფარული მიყურადების შესახებ შუამდგომლობების განხილვის რიცხვი მცირედით შემცირებულია, გარდა გამოძალვის, განზრახ მკვლელობისა და ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადების, გასაღების ან გამოყენების დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული შუამდგომლობებისა. წინა წელთან შედარებით, საგრძნობლად, 102.86% არის გაზრდილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასთან დაკავშირებული ფარული მიყურადების შესახებ შუამდგომლობები.

2020 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის შესახებ დაკმაყოფილებული შუამდგომლობების 56% სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებებზე ნაწილდება: „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობა“, თაღლითობა, მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, გამოძალვა, ქურდობა, ქრთამის აღება.[5]

[5] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 99, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wgJPSv წვდომის თარიღი: 19.05.2021.



სააბონენტო ნომრებზე განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის რაოდენობა 2018 წლიდან თანდათანობით იზრდება და 2021 წლის პირველივე კვარტალში სოლიდურ ნიშნულს - 2403-ს აღწევს.

2018 წლიდან დღემდე სტაბილურად იზრდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გადაუდებელი აუცილებლობისას სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ პროკურატურიდან შესული შუამდგომლობების რაოდენობა. 2018 წელს ეს მაჩვენებელი ჯამში 36 იყო, 2019 წელს - 81, 2020 წელს - 107, ხოლო 2021 წლის პირველივე კვარტალში შუამდგომლობების რიცხვი უკვე 32-ს აღწევს.

სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები



აღსანიშნავია, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით შუამდგომლობებზე 2018 წლიდან შესამჩნევია განხილული შუამდგომლობების მცირედით კლების ტენდენცია.

2018 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები







უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, 2020 წელს დაფიქსირდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და მოსმენასთან დაკავშირებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების ყველაზე მაღალი – 92%-იანი მაჩვენებელი. 2018 წელს შუამდგომლობის დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი 88%, ხოლო 2019 წელს 84% იყო.

4. სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში წარმოდგენილი მოსამართლის ბრძანებების სტატისტიკა

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღების მიზნით, IDFI-იმ წელსაც მიმართა სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს. 2020 წლისგან განსხვავებით, სააგენტომ წელს IDFI-ის მოთხოვნას წერილობით უპასუხა და სააგენტოში წარმოდგენილი მოსამართლის ბრძანებების შესახებ ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული თვალთვალის სახეებს შეეხება, კერძოდ, სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას, ასევე ინფორმაციის კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან მოხსნასა და ფიქსაციას და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაციას.

კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეს უფლება აქვს, ბრძანებით გასცეს ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ნებართვა, თუ არსებობს შესაბამისი ობიექტური საფუძველი და შესრულებულია კანონის მოთხოვნები, კერძოდ, თუ სახეზეა კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებების განხორციელების კანონით დადგენილი საფუძვლები, თუ უზენაეს სასამართლოში წარდგენილია შუამდგომლობა სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და ის აკმაყოფილებს კანონის სხვა მოთხოვნებს.[6]



[6] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

2018-დან 2020 წლამდე, კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაციის შესახებ ბრძანება ჯამში სულ სამჯერ იყო ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში წარმოდგენილი (თითოეულ წელს ერთი ერთეული). რაც შეეხება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ ბრძანებების ოდენობას, 2019 წელთან შედარებით, 2020-ში მათი რიცხვი შემცირდა და 2018 წლის ნიშნულს მიუახლოვდა. სააგენტოს ინფორმაციით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ამ ორი ღონისძიების შესახებ ჯამში სულ 84 ბრძანება ფიქსირდება.[7]

5. ფარული ჩანაწერების გავრცელებისა და უკანონო მოსმენის ფაქტები

უკანონო ფარული ჩანაწერების გავრცელებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის პრაქტიკას აქტუალობა არც 2020-2021 წლებში დაუკარგავს. მანამდე, 2019 წელს ქალი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ინტერნეტში არაერთხელ გავრცელდა, რის შედეგადაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ბრალდებით თავიდან 16 პირი, უფრო მოგვიანებით კი კიდევ რამდენიმე პირი დააკავეს.[8] პროკურატურა საზოგადოებას არ აწვდიდა ინფორმაციას დაიწყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც კადრები თავდაპირველად მოიპოვეს და გაავრცელეს.[9] აღსანიშნავია, რომ ამ პირთა იდენტიფიცირება დღემდე არ მომხდარა, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში კი მხოლოდ ის პირები მიეცნენ, რომლებმაც ეს ჩანაწერები შეინახეს ან სხვა პირებს გაუზიარეს.[10]

2020 წელს წინასაარჩევნო პერიოდში უკანონო ფარული მიყურადების შესახებ ეჭვები გააჩინა პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებამ, რომლითაც მან „TV პირველის" ჟურნალისტ ნატო გოგელიასა და ოზურგეთში „ნაციონალური მოძრაობის" რეგიონულ წარმომადგენელს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის შინაარსი გაასაჯაროვა იმის დასამოწმებლად, რომ არჩევნების დღეს პარტია „ნაციონალური მოძრაობა" ხმაურის მოწყობას გეგმავდა.[11] აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტსა და „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს შორის სატელეფონო საუბარს არავინ დასწრებია და ჟურნალისტი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მისი საუბრები ისმინებოდა. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, სავარაუდოდ, *„გამოძიება მოცემულ ფაქტზე არ დაწყებულა."*[12]

2020 წლის 6 ნოემბერს უკანონო სატელეფონო კომუნიკაციის ფარული ჩანაწერი გასაჯაროვდა, რომელიც მიმართული იყო ქალი პოლიტიკოსის, პარლამენტისა და პარტია "ნაციონალური მოძრაობის" წევრის სალომე სამადაშვილის წინააღმდეგ. ჩანაწერი, რომელზეც სალომე სამადაშვილისა და უცნობ პირს შორის საუბარი იყო ჩაწერილი, უკრაინულ ვებგვერდზე - „obozrevatel"-

---

[7] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს 2021 წლის 17 მაისის წერილი SSG42100062411.

[8] IDFI, *ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა საქართველოში, 2015-2018*, გვ. 20, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/surveillance_geo_final_July.pdf, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, გვ. 164, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

[10] ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31181730.html, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

[11] ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/309197/, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

[12] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, გვ. 151, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

ზე გამოქვეყნდა. ამავე ვებგვერდზე გამოქვეყნდა ჩანაწერი, სადაც ასახული იყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბიძის - თემურ ალასანიასა და გუბაზ სანიკიძეს შორის შემდგარი საუბარი.[13] სალომე სამადაშვილის მტკიცებით, ჩანაწერების გასაჯაროების უკან პარტია „ქართულ ოცნება" იდგა.[14] აღსანიშნავია, რომ უკრაინულ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ჩანაწერები საქართველოში ტელეკომპანია „იმედმა" გააშუქა.

2021 წლის 6 მარტს ფარული აუდიოჩანაწერი გამოქვეყნდა „TV პირველის" ეთერში, რომლის სავარაუდო მონაწილეები საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე და ქართული ოცნების დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის შვილი - ბერა ივანიშვილი არიან.[15] ჩანაწერის აჩვენებს, რომ მასში მონაწილე პირების მხრიდან განხორციელდა ახალგაზრდების, მათ შორის, არასრულწლოვანი პირების დევნა და მუქარა სოციალურ ქსელებში გამოხატული მოსაზრებების გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს და სამართალდამცავ ორგანოებს ჩანაწერის ავთენტურობის შესაფასებლად შესაბამისი საექსპერტო ან/და სხვა საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისკენ მოუწოდეს.[16] განცხადებაში ხაზი ასევე გაესვა ჩანაწერის ნამდვილობის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დასმის აუცილებლობას.[17] აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ ამ საქმეზე გამოძიება მხოლოდ კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის ან/და მიყურადების, ასევე კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენებისა და გავრცელების ფაქტებზე დაიწყო.[18] გამოძიება ჩანაწერების გავრცელებიდან მალევე, მე-4 დღეს დაიწყო.[19] 2021 წლის 18 ივნისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიების შუალედური შედეგების შესახებ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ტელეკომპანია „პირველის" ეთერში გასული აუდიო ჩანაწერები „მოდელირებული და გაყალბებულია".[20]

2021 წელს ცნობილი გახდა, რომ უკანონო თვალთვალი განხორციელდა პოლიტიკოსის - ანა დოლიძის მიმართ. 2021 წლის 21 მარტს, ტელეკომპანია „მთავარი" არხის გადაცემა "პოსტ ფაქტუმში" სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა ივანე გულაშვილმა განაცხადა, რომ მისი საქმიანობა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოპოვების მიზნით სხვადასხვა პირების ბინაში, მათ შორის, პოლიტიკოს ანა დოლიძის სახლში სათვალთვალო მოწყობილობის დაყენება იყო. ანა დოლიძემ დაადასტურა, რომ ივანე გულაშვილის მიერ ნივთებისა და საცხოვრებელი ბინის

---

[13] ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/496198/, წვდომის თარიღი: 01.06.2021.
[14] იქვე.
[15] ნეტგაზეთი, ფარული ჩანაწერი სავარაუდოდ ბერას, ღარიბაშვილისა და ჩუბინიძის მონაწილეობით, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/524739/, წვდომის თარიღი: 29.06.2021.
[16] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ტვ პირველის ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/statement_of_the_ngos_on_the_audio_recording_broadcasted_on_tv_pirveli წვდომის თარიღი: 29.06.2021.
[17] იქვე.
[18] IDFI, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3h86lHd , წვდომის თარიღი, 29.06.2021, გვ. 26.
[19] ნეტგაზეთი, ფარული ჩანაწერების გამოძიების ორმაგი სტანდარტი? ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/525684/, წვდომის თარიღი: 29.06.2021.
[20] საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/news/prokuratura-telekompania-pirvelis-eTershi-gasuli-faruli-audio-chanawerebis-safuZvelze-dawyebuli-ga , წვდომის თარიღი: 29.06.2021.

აღწერილობა ემთხვეოდა მისი ბინის შიდა მოწყობასა და იქ არსებულ ნივთებს.[21]

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონო ჩანაწერების მოპოვებისა და გავრცელების გენდერულ მოტივებზე და ძირითადად, ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ მათი გამოყენების მანკიერ პრაქტიკაზე.[22] გარდა ამისა, ანა დოლიძის მიმართ უკანონო თვალთვალთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებმაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ჩაწერის/გავრცელების სისტემურობასა და ქალთა საჯარო და პოლიტიკური სივრცეებიდან გაძევების მოტივს კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი.

ფარული ჩანაწერების მოპოვების/გავრცელების სიხშირე და ამ ფაქტებზე არაეფექტიანი რეაგირება ფარული მიყურადების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს სერიოზულ ხარვეზებზე მიანიშნებს. აშკარაა, რომ არსებული რეგულირება ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სათანადო გარანტიებს. ამავდროულად, არ არსებობს ზედამხედველობისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა და დაბალია მოლოდინი, რომ უკანონო ჩანაწერების ფაქტებს სათანადოდ გამოიძიებენ.[23] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ოპერატიული-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს სისტემური რეფორმა.[24]

არაერთი წელია სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები ფარული ჩანაწერების გავრცელების ფაქტებზე ეფექტიან და სათანადო გამოძიებას მოითხოვენ. სისტემურ პრობლემად ფასდება პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების შანტაჟის მიზნით უკანონო აუდიო-ვიდეო ჩაწერა და ამ დანაშაულების გამოძიების არაეფექტურობა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება 2015-2017 წლებში დაიწყო, სისხლისსამართლებრივი დევნა ამ დრომდე არ დაწყებულა.[25]

სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე, ფარული ჩანაწერების გამოყენებამ სისტემური ხასიათი მიიღო და პოლიტიკური ანგარიშსწორების ერთ-ერთ მეთოდად იქცა, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ქალთა თანასწორ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფარული ჩანაწერების გამოყენების მახინჯი პრაქტიკა ასევე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს პირთა გამოხატვის თავისუფლებაზე. უკანონო ფარული ჩანაწერების შემქმნელი და თავდაპირველი გამავრცელებელი პირების დაუსჯელობა კი ამ მეთოდის, როგორც ოპონენტების საწინააღმდეგოდ მიმართული მძლავრი პოლიტიკური იარაღის ნორმალიზებას ახალისებს, რაც დღემდე მწვავე და სერიოზულ პრობლემად რჩება.

---

[21] ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31164137.html, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

[22] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, გვ. 151, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

[23] IDFI-ის განცხადება პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/idfi_statement_on_personal_life_records, წვდომის თარიღი: 01.06.2021.

[24] იქვე.

[25] IDFI, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3h86lHd , წვდომის თარიღი: 21.06.2021, გვ. 29-33.

6. შეჯამება

2018-2020 წლების სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ სასამართლოებში შესული შუამდგომლობების რიცხვი და მათი დაკმაყოფილების ჯამური მაჩვენებელი შემცირდა. ეს უკავშირდება კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობების მნიშვნელოვნად კლებას ბოლო 3 წლის მანძილზე. ამ კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებული შუამდგომლობათა რიცხვი 7150-დან (2018 წელს) 1348-მდე შემცირდა (2020 წელი).

ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადის გაგრძელებასთან, ფარულ ვიდეოჩაწერასა და ფოტოგადაღებასთან დაკავშირებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი მზარდია. უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელიც. ასევე, 2018 წლის შემდგომ იზრდება განხილულ შუამდგომლობათა შორის გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობების პროცენტული წილი და მათი დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელიც. 2020 წელს ეს უკანასკნელი 98.5%-ს აღწევს. ბოლო წლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შეჩერების მექანიზმის გამოყენების სიხშირემაც იმატა.

სერიოზულ გამოწვევად რჩება ფარული ჩანაწერების გავრცელებისა და უკანონო მოსმენის ფაქტები, ასევე დამნაშავეთა დაუსჯელობა. უკანონო ფარული მეთვალყურეობისა და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციით შანტაჟის ყველა შემთხვევა დროულ და ეფექტიან რეაგირებას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ფარული მეთვალყურეობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი, რადგან ის ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მყარ გარანტიებს.[26] სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს ზედამხედველობისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა და სათანადო პროცედურული გარანტიები, რაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებას უზრუნველყოფდა.

[26] IDFI, ფარული მიყურადება საქართველოში - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wIIHYn